# საქართველო

## არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება“

4100, ქ.სენაკი, ტაბიძის ქ. N 60
60. Tabidzis Str., Senaki, Georgia

(ს/კ 239892434)
595 994 004


№ 38 18-03 2026 წ.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ვახტანგ გადელიას

ბატონო ვახტანგ,

თქვენი, 2026 წლის 13 მარტის N40-402607617 წერილის პასუხად გეგზავნებათ მოთხოვნილი ინფორმაცია, ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ 2025 წლის ანგარიში .

დანართი 6 ფურცელი.

პატივისცემით,

გაერთიანების დირექტორი ა. ჯანჯღავა

# ა ნ გ ა რ ი შ ი

## აიპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2025 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში ფუნქციონირებდა 27 ს/ბაღი, ქალაქად- 10 სოფელად- 17, აღსაზრდელთა რაოდენობა - 795 2025 წლის 12 თვის მდგომარეობით თანამშრომელთა რიცხოვნება შეადგენს 346. აქედან ს/ბ-ბაღებში-321 ,სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ადმინისტრაციაში -25, შტატგარშე მომუშავეთა რიცხოვნობა 2. სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების 2025 წლის 12 თვის მდგომარეობით სუბსიდიური დაფინანსება გეგმით 4198700 ლარი, აქედან 2025 წლის 12 თვეში ბიუჯეტით მიღებულია 4177278,97 ლარი.

ა) სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ადმინისტრაციისათვის 2025 წლის 12 თვეში ბიუჯეტიდან გახარჯულია 414567,52 ლარი. აქედან:

1. შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა სულ 383653,84 ლარი. აქედან, (ხელფასი 359635,84ლარი ,პრემია -24018 ლარი),
2. სოც.უზრუნველყოფის ხარჯი -1962,48 ლარი.
3. მივლინების ხარჯი -583,6 ლარი.
4. ოფისი და სხვადასხვა საქონელი და მომსახურება სულ - 13851,33 ლარი; (მ/შ ინტერნეტის მომსახურეობა -792 ლარი, ორიგინალური კატრიჯების შეძენა 1746 ლარი, სილქნეტის მომსახურება - 2765,93 ლარი, ეკონომიკური საქმიანობის რეესტრი -39 ლარი, კატრიჯები და სხვა - 2000 ლარი, ფარდების შეძენა - 427,50 ლარი, ეკრანი სადგამით და სპორტული თასი- 530 ლარი. საკანცელარიო საქონლის შეძენა 4703,95 ლარი, ჰიგიენური საშ. შეძენა 746,95 ლარი,კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურეობა 100ლარი).
5. ტრანსპორტირების ხარჯები: - 6936,27 ლარი, (მათ შორის: საწვავზე- 2896,74 ლარი, ავტომანქანის რემონტი, დაზღვევა და რეცხვა 4039,53 ლარი),
6. სხვადასხვა ხარჯი - 4150 ლარი (საქ.ფინანსთა ასოციაციის საწევრო შენატანი - 4000 ლარი; არქივის ხარჯი -150 ლარი);

7. არაფინანსური აქტივების ხარჯი - 3430 ლარი (მ.შ პრინტერისა და პროექტორის შეძენა)

ბ) სკაღზრდის გაერთიანებაში შემავალი ბ/ბაღებისათვის 2025 წლის 12 თვეში ბიუჯეტიდან გახარჯულია -3762711,45 ლარი.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება - 2997168,61 ლარი.(მ.შ ხელფასი - 2810403,81 ლარი, პრემია-186764,80)

2. კვებაზე დახარჯულია სულ - 481226,98 ლარი. (მ.შ.კვება- 462801,5 სასმ.წყალი -3952,5ლარი, საახალწლო ნობათი აღსაზრდელებისთვის 14472,98 ლარი)

3. სოც.უზრუნველყოფის ხარჯი -11395,33 ლარი;

4. შტატგარეშე მომუშავეთა ხარჯი -23040 ლარი;(მათ შორის ხელფასი -21500 ლარი ,პრემია -1540 ლარი),

5. მივლინების ხარჯი -245,4 ლარი).

6. ოფისი და სხვადასხვა საქონლის და მომსახურეობა -205727,53 ლარი (მ/შ წყალმომარაგების კომპანიის მომსახურეობა -19342,03 ლარი, ბუნებრივი აირის შეძენა -24942,4 ლარი, ტენდერის გამოცხადება -600 ლარი, ენერგოპროჯორჯიის მომსახურება -47037,8 ლარი, სხვადასხვა სახის საქონელი -8127,9 ლარი, 112-ის მომსახურება(სილქნეტი) –95,20 ლარი, სილქნეტის მომსახურება -1620 ლარი, ინტერნეტის მომსახურება - 9204 ლარი სკოლაში წამსვლელი აღსაზარდელთა სასაჩუქრე ნობათი - 3220,4 ლარი, ელ.გაყვანილობის მონტაჟი - 1184 ლარი.საკანცელარიო საქონელი 9225,3 ლარი. ჰიგიენური საშ. -9794,5 ლარი. ცოცხი -1533 ლარი, პლასმასის ბიდონი- 975 ლარი, სეტკა ფანჯრის-100 ლარი,თხევადი გაზი-3038 ლარი, შეშის შეძენა 28210 ლარი ,ფარდების შეძენა2110 ლარი ,კვების ლაბორატიული შემოწმება 158 ლარი,ც/გათბობის მონტაჟი 200 ლარი , საოჯახო ტექნიკა 2778 ლარი,სათამაშოები - 9950 ლარი,მენიუს პროგრამა 5000ლარი, ავტომანქანის მომსახურეობა 150ლარი, მაცივრის თერმომეტრები 1540 ლარი, ცეცხლმაქრების შეძენა 2786 ლარი, ლინოლიუმის შეძენა 3150 ლარი, შეშის ფეჩი, მილები და მ/მოწყობილობა1609 ლარი. სამზარეულო მოწყობილობა , ჭურჭლეულობა და სხვა 7057 ლარი, მუსიკალური ცენტრი დინამიკები 990 ლარი .)

7. სხვა ხარჯი სულ -35211,6 ლარი მათ შორის: (დასუფთავების სანიტარული ღონისძიების, რეზერვუარის ამორეცხვა და სხვა -6315,24 ლარი, წყლის ანალიზი – 7263,36 ლარი, ბინის ქირავნობა -7500 ლარი, ასენიზაციის ხარჯი -450 ლარი , საბავშო ბროშურების შეძენა 5733 ლარი, ტრენინგი 7950 ლარი).
8 . არაფინანსური აქტივების ხარჯი 8696 ლარი ,(მაცივრების შეძენა 4475 ლარი, საბ. წიგნები 4221 ლარი).

სულ 2025 წლის 12 თვეში სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებისა და ბაგა-ბაღებზე მიზნობრივად გახარჯულია - 4177278,97 ლარი.

2025 წელს სააღმზრდელო პროცესი განახლდა 20 იანვარს, მანამდე კი გაერთიანების მიერ გატარდა ყველა საჭირო და აუცილებელი ღონისძიება საბავშვო ბაღების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. კერძოდ, გამოცხადდა და შედგა კვების პროდუქტების შესყიდვებისთვის საჭირო ტენდერები, დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებები. შესრულდა ყველა საჭირო სამუშაო სასაწყობე ოთახების მოსაწესრიგებლად, დამტკიცდა კვების მენიუ, რომელიც ოთხჯერად კვებას ითვალისწინებს. კვების თანხამ 1 აღსაზრდელზე წლის პირველ ნახევარში შეადგინა 4,138 ლარი და წლის მეორე ნახევარში 4,63 ლარი. შესრულდა სადეზინფექციო სამუშაოები ყველა საბავშვო ბაღში, გაირეცხა და დეზინფექცირდა სასმელი წყლის რეზერვუარები, გაკეთდა სასმელი წყლის ანალიზი ყველა საბავშვო ბაღში, ხოლო სოფლის ბაღებში შეტანილი იქნა ბუტლირებული სასმელი წყალი.

2025 წლის განმავლობაში გაერთიანების მიერ გატარდა მთელი რიგი სამუშაოები სააღმზრდელო პროცესის წარმატებულად და შეუფერხებლად წარმოებისათვის. დაგეგმილი იყო და მიმდინარეობდა აქტივობები სხვადასხვა საინტერესო და მნიშვნელოვან თემებზე.

წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასვა სახის აქტივობები, პროექტები, საუბრები, შეხვედრები, თამაშები, ორგანიზებული კონცერტები აღსაზრდელთა მონაწილეობთ, საზეიმო მსვლელობები, სადღესასწაულო აქტივობები. განსაკუთრებით მინდა გამოვყო განსხვავებული პროექტები, რომელიც გაერთიანების სხვადასხვა ბაღში ჩატარდა, კერძოდ პროექტი „ბიომრავალფეროვნება ცოცხალი და არაცოცხალი“, რომელიც ჩატარდა N1 საბავშვო ბაღში, პროექტი „მეგობრობა“-ჩატარდა N1 ბაგა-ბაღში, პროექტი „დედაენის დღე“- ჩატარდა ძვ.სენაკის N 1 საბავშვო ბაღში, პროექტი „მუსიკის ჰანგები“- ჩატარდა ნოსირის საბავშვო ბაღში, პროექტი „ გაჯეტებზე დამოკიდებულება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები“- ჩატარდა

კოტიანეთის საბავშვო ბაღში, მოწვეული სტუმრის, ბავშვთა ოფთალმოლოგის სალომე ხუხიას ჩართულობით.

მინდა ავღნიშნო ამ პერიოდში ჩატარებული აქტივობები, კერძოდ აქტივობა „ფერები ჩემს გარემოში“, „გაზაფხული და ყვავილები“, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე- „ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“, აქტივობა „მცენარეთა დარგვა“, აქტივობა „დედაენის დღე“- „ჩემი დედაენა“, აქტივობა „აღდგომა“, „შობა“, შემოდგომის ზეიმი,საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აქტივობა, რომელიც ქალაქის ცენტრალურ პარკში ჩვენი აღსაზრდელების მონაწილეობით გაიმართა, აქტივობა „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე“, აქტივობა „გვიხმობს სკოლის ზარი“, ამ აქტივობის დროს სკოლაში გავაცილეთ გაერთიანების ბაგა-ბაღების 332 აღსაზრდელი, თითოეულ მათგანს გადაეცა სამახსოვრო სიგელები, მასზედ რომ მათ წარმატებით გაიარეს სასკოლო მზაობის სრული კურსი და სასკოლო ნივთების ნაკრები, რაზედაც დაიხარჯა 3220,40 ლარი. წლის ბოლოს კი გაერთიანების საბავშვო ბაღების 795 აღსაზრდელმა საახალწლო საჩუქრების ნაკრები მიიღო, საერთო თანხით 14473 ლარი.

განსაკუთრებულად მინდა ავღნიშნო აქტივობა „მხიარული თამაშები“, რომელიც უკვე ტრადიციული გახდა და ყოველწლიურად ტარდება ქალაქისა და სოფლების სპორტულ მოედნებსა და ბაღის ეზოებში. წელს აქტივობა ჩატარდა ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე გამოვლინდა ჯგუფური თამაშების გამარჯვებულები, ხოლო მეორე ფინალურ ეტაპში გაერთიანების ოთხმა საბავშვო ბაღმა მიიღო მონაწილეობა, გამოვლინდა თამაშების გამარჯვებული გუნდი, ხოლო მონაწილე ბაღები შესაბამისი სიგელებითა და სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვდნენ.

განსაკუთრებით წარმატებული იყო ეს პერიოდი გაერთიანების N 6 ბაგა-ბაღისათვის, უკვე მეორედ გაერთიანების N 6 ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი რესპუბლიკური კონკურსის „მწვანე ჯილდოს“ გამარჯვებული გახდა და ის ქვეყნის 10 საუკეთესო პედაგოგს შორის მოხვდა. აღსანიშნავია რომ ამ კონკურსში გაერთიანების კიდევ რამოდენიმე პედაგოგი იღებდა მონაწილეობას.

დატვირთული იყო საანგარიშო პერიოდი ტრენინგებით და სწავლებებით, რომელშიც გაერთიანების მეთოდისტები, ფსიქოლოგი, ბაგა-ბაღების გამგეები, აღმზრდელ-მასწავლებლები და მშობლები იღებდნენ მონაწილეობას. მინდა გამოვყო ზოგიერთი მათგანი კერძოდ; ტრენინგი მუსიკის მასწავლებლებთან თემაზე „მუსიკის სწავლების სტრატეგიები“, განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული

ტრენინგები: „ბაღების ავტორიზაციის საკითხები“, „კურიკულუმის განხორციელების გზები და მეთოდები“, „მშობლების ცნობიერების ამაღლება და პოზიტიური მშობლობის ხელშეწყობა“, ტრენინგები ინკლუზიური განათლების და ძალადობის პრევენციის შესახებ.

აღნიშნულ ტრენინგებში საერთო ჯამში გაერთიანების 140- ზე მეტმა თანამშრომელმა, პედაგომა და მშობელმა მიიღო მონაწილეობა.

სასწავლო სააღმზრდელო წლის დასასრულს გაერთიანების საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა წლის შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც წარმოდგენილი იყო წლის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობის ანგარიში. შეხვედრაზე ბაღის გამგეებმა და აღმზრდელმა პედაგოგებმა წარმოადგინეს თავიანთი საქმიანობის პრეზენტაცია, და მათ შეხვედრის ბოლოს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები და საპატიო სიგელები.

წლის განმავლობაში ყველა საბავშვო ბაღი 4-ჯერ შემოწმდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ. შემოწმებისას არცერთი კრიტიკული შეუსაბამობა არ დაფიქსირებულა, მოგვეცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა ძირითადი ნაწილი შესრულებულია.

სკოლამდელ განათლებაში დანერგილია სწავლების ახალი სტანდარტი კურიკულუმი, რომლის ძირითადი კომპონენტებია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებზე ორიენტაცია, თამაშზე დაფუძნებული კურიკულუმის განხორციელება.

კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვანი ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს. მისი წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფა, შიდა და გარე რესურსების სტანდარტის შესაბამისად მოწყობა.

2025 წელს გაერთიანების საბავშვო ბაღები აღიჭურვა კურიკულუმით გათვალისწინებული უსაფრთხო სათამაშოებით, აქტივობებისათვის საჭირო მასალით, საგანმანათლებლო რესურსით. კერძოდ შევიძინეთ 12199 ლარის საკანცელარიო ნივთები, 9950 ლარი სათამაშოები, 9954 ლარის საბავშვო წიგნები და ლიტერატურა.

მნიშვნელოვანია რომ 2025 წელს ჩვენ შევიძინეთ ახალ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანილი კვების მენიუ, რომელიც უკვე 2026 წლის 15 სექტემბრიდან ამოქმედდება გაერთიანების ბაგა-ბაღებში. ამავე კვებასთან მიმართებით ჩატარდა 2 დღიანი ტრენინგი, რომელიც აღნიშნულ კვების მენიუს

შესწავლას და მასთან დაკავშირებული HACCP-ის სისტემის განახლებას ეძღვნებოდა. ასევე აღსანიშნავია, რომ გასულ წელს გაერთიანების ერთერთი საბავშვო ბაღის მზა საკვებს ჩაუტარდა ლაბორატორიული ანალიზი სტანდარტებთან შესაბამისობისა და უსაფრთხოების მიზნით. ანალიზის პასუხები სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო ყველა პარამეტრის მიხედვით. ასევე წლის განმავლობაში ორჯერ ჩატარდა წყლის ლაბორატორიული ანალიზი, გაიცვალა საბავშვო ბაღის საწყობებში არსებული თერმომეტრები, აკრედიტირებულ ლაბორატორიაში ჩატარდა თერმომეტრების დაკალიბრება. ამ ეტაპზე გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღი აღჭურვილია ტენიანობის გასაზომი და მაცივრებისათვის საჭირო თერმომეტრებით.

ამ ეტაპზე დასრულდა გაერთიანების 4 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, ესენია N 3 ბაგა-ბაღი ძვ.სენაკის N 1, ფოცხოს N 2 და ლეძამამეს საბავშვო ბაღები. N 3 ბაგა-ბაღი გათვლილია 100 აღსაზრდელზე. ხოლო სოფლის ბაღები 50 აღსაზრდელზე. მშენებლობას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი აწარმოებდა და მათ მიერვე იქნება აღჭურვილი საჭირო ტექნიკითა და ავეჯით. ახალ ბაღებში გადასვლა მ/წლის სექტემბრიდან იგეგმება.

ვაწარმოებთ 2026 წლის ბაღების ავტორიზაციისათვის საჭირო შესაბამის მოსამზადებელ სამუშაოებს. მარტის თვის ბოლოს ველოდებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, რომლებიც ჩვენი ხუთი ბაღის სტატუსის მაძიებლის პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობას შეადარებენ. ეს პროცესი 30 მარტიდან- 8 აპრილის ჩათვლით ჩატარდება N 4 და N 5 ბაგა-ბაღებში, ბაღი „ოცნებაში“, N 2 საბავშვო და გეჯეთის საბავშვო ბაღებში. ამ ეტაპზე ჩვენი მხრიდან მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები პროცესის ნორმალურად და შეუფერხებლად წარმართვისათვის.

გაერთიანების დირექტორი ალექსანდრე ჯანჯღავა